



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“
მაგისტრატურა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“

შეფასების თარიღ(ებ)ი - 18.11.2021 – 6.12.2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი - 10.01.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი კერძო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია Physical Medicine and Rehabilitation
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი Magister of Physical Medicine and Rehabilitation
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	თერაპია და რეაბილიტაცია (0915) Therapy and Rehabilitation (0915)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავ- ლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადანაცვების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 12 დეკემბრის გადანაცვებლები N238

ფესპერტა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	ირინე ფხაკაძე (სსიპ - ქუთაისის აკაკი წერეთლის
-----------------------------	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი (შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს (შემდგომში - დაწესებულება) „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 12 დეკემბერს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N238).

2021 წლის 10 აგვისტოს აკრედიტაციის საბჭოს მიერ (ოქმი MES 4210000816047, 24/08/2021) განხილულ იქნა პროგრამის არაგვეგმიური მონიტორინგის შედეგები, რა დროსაც აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტთა დასკვნის განხილვისა და ზეპირი მოსმების საფუძველზე გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები (ფორმულირება შეუცვალა 2.6 ქვეკომპონენტში განწერილ პირველ რეკომენდაციას), დაწესებულებისათვის განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული“.

დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 27 ოქტომბრის №1149190 წერილით წარმოდგენილი პროგრამის მახასიათებლებია:

- პროგრამის ხანგრძლივობა - 2 წელი;
- პროგრამის მოცულობა - 120 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი = 25 სთ (მოიცავს საკონდაქტო და დამოუკიდებელ საათებს);
- პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი (არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები, სავალდებულო პრაქტიკა) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანების (MES 3 21 0001239389, 17/11/2021) საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); თამარ გვიანიშვილი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ცენტრში 2021 წლის 27 ოქტომბრის №1149190 წერილით შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედი“-ს (შემდგომში - დაწესებულება)

მიერ წარმოდგენილი „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა).

ცენტრის დირექტორის ზემოთ მითითებული ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ პროგრამის შესაბამისობის დადგენა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება. აკრედიტაციის საბჭოს მიერ (ოქმი MES 4210000816047, 24/08/2021) განსაზღვრული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
2. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური;
3. სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს სწავლების საფეხურის მიხედვით;
4. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;
5. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
6. დაკორექტირდეს და დაზუსტდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა;
7. რეკომენდირებულია, მაგისტრებისთვის მისაღწევი პრაქტიკული უნარების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იყოს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტის აღმწერი, რაც გამიჯნავდა ზემოთხსენებულს დაწესებულებაში მოქმედი იმავე დეტალური სფეროს და დასახელების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური უნარების სირთულისგან;
8. რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით.

პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან (1.2; 2.3; 2.4; 2.6) მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით იყო გაცემული ზემოთ მითითებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვის შედეგების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- **სტანდარტი 1** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.2. კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **სტანდარტი 2** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების აღდევკვატურობა - შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

2.3. კომპონენტი

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

2.4. კომპონენტი

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტის „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები განათლების საფეხურის გათვალისწინებით, მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

2.6. კომპონენტი

- რეკომენდირებულია OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დანესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

1.2. კომპონენტი

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვადობის და დადასტურების შესაძლებლობას.

დანესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია გაზიარებულია, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე მითითებული სასწავლო კურსების (ქცევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია, ტკივილის მართვა, პრაქტიკა სპეციალობაში, სამაგისტრო ნაშრომი) და სწავლის შედეგები კორექციის შედეგად პროგრამის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, გაზომვადი და რეალისტურია. **რეკომენდაცია ამოღებულ იქნა ექსპერტთა დასკვნიდან.**

2.3. კომპონენტი

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

დანესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია გაზიარებულია, მითითებულ სილაბუსებში (ნეიროკოგნიტიური დარღვევები ბავშვთა ასაკში) დაკორექტირდა შეუსაბამობა და ტექნიკური ხარვეზები, თუმცა რიგ შემთხვევებში რჩება არასწორად ფორმულირებული სწავლის შედეგები, ამდენად, **რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში შენარჩუნებულია.**

- დაკორექტირდეს და დაზუსტდეს პროგრამის კომპონენტის „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა.

რეკომენდაცია გაზიარებულია, დაზუსტდა სამაგისტრო ნაშრომის დაშვების წინაპირობა და შესაბამისი ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსებში: სამაგისტრო ნაშრომის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო კურსები. **რეკომენდაცია ამოღებულ იქნა ექსპერტთა დასკვნიდან.**

2.4. კომპონენტი

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტის „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსი მითითებული სწავლის შედეგები განათლების საფეხურის გათვალისწინებით, მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

რეკომენდაცია გაზიარებულია, დაკორექტირდა უზუსტობები, თუმცა „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსში სწავლის შედეგები იმეორებს საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკის კურსის შედეგებს. ამდენად, არ ითვალისწინებს განათლების საფეხურს, შესაბამისად, **რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულია.**

2.6. კომპონენტი

- რეკომენდირებულია OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის და-
ნერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექ-
ლისტების წარმოდგენა.

არგუმენტირებული პასუხის თანახმად აღნიშნულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების მიერ
წარმოდგენილია OSCE ჩექლისტები და შეფასების ფურცლები, თუმცა, წარმოდგენილი
ფორმები არ არის სრულყოფილი, სტრუქტურირებული დავალების ობიექტური შეფასე-
ბების ნაცვლად ე.წ. OSCE სადგურზე დავალებების შეფასებები მეტწილად სუბიექტური, ანა-
ლიტიკური და ჰოლისტიკურია. ამდენად, **რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში შენარჩუ-
ნებულია.**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია #1: პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში.

პროგრამის კურიკულუმში მითითებული სწავლის შედეგები წარმოდგენილია აქტიური ზმნებით, ახლანდელ დროში. თუმცა, რიგ შემთხვევაში, არამკაფიო ფორმულირების გამო შედეგები ნაკლებად გაზომვადია. მაგ., „სიღრმისეულად იცის“, „სისტემატურად იცის...“, „აქვს ... სიღრმისეული ცოდნა და მიღწევების გამოკვეთის უნარი“ (კურიკულუმი, გვ.5). ასევე, გასასწორებელია რამდენიმე შეუსაბამობა, მაგ., „უნარებში“ მითითებულია „იცის“ (კურიკულუმი, გვ.7).

რეკომენდაცია #2: პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური.

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ნაწილი რეალისტური და გაზომვადია. თუმცა, რიგ შემთხვევაში არამკაფიო ფორმულირების გამო, შედეგების გაზომვადობა პრობლემურია: მაგალითად: შედეგი „მიღებული ცოდნა სიღრმისეულად გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და კლინიკური საგნების ათვისებაში“ (სასწავლო კურსი „ქცევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია“), „მიღებული ცოდნა სიღრმისეულად გამოიყენოს საკუთარი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.“ (სასწავლო კურსი „ტკივილის მართვა“); „პრაქტიკულ საქმიანობასთან უშუალო შეხებაში კონკრეტულად აცნობიერებს“, „პრაქტიკის გავლისას მაგისტრანტი სიღრმისეულად განამტკიცებს სწავლის პერიოდში მიღებულ სისტემური ცოდნას, შეუძლია მისი კრიტიკულად გააზრება“, „შეუძლია ... ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.“ („პრაქტიკა სპეციალობაში“); „კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა“ („სამაგისტრო ნაშრომი“) და სხვ.

რეკომენდაცია #3: სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს სწავლების საფეხურის მიხედვით.

კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის დონეს

დამატებით აღვნიშნავთ, რომ:

- არ იყო წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმა (არც ცალკე დოკუმენტად, არც კურიკულუმის ნაწილად), რის გამო შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ შემონმდა პროგრამის ყველა სასწავლო კურსი;
- პროგრამის კურიკულუმში და ყველა სილაბუსში მითითებულია „სპეციალობის სასწავლო კურსები“, რაც დღეისათვის არარელევანტურია.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია:

- გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვადობისა და დადასტურების შესაძლებლობას.

დანესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესწავლის შედეგად აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებულია. პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე მითითებული სასწავლო კურსების (ქცევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია, ტკივილის მართვა, პრაქტიკა სპეციალობაში, სამაგისტრო ნაშრომი) და სწავლის შედეგების კორექციის შედეგად პროგრამის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, გაზომვადი და რეალისტურია, ამდენად, რეკომენდაცია ამოღებულ იქნა ექსპერტთა დასკვნიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
 ✓ პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:
 -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
 -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
 -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <i>შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.</i>
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <i>შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.</i>
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
<p>➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:</p> <p><i>რეკომენდაცია #4: მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების თორმულირება ახლანდელ დროში.</i></p> <p>წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში.</p> <p><i>რეკომენდაცია #5: დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.</i></p> <p>წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები, ძირითადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, თუმცა:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რიგ შემთხვევაში, არსებობს შეუსაბამობები, მაგ., „ცოდნა და გაცნობიერებაში“ მითითებულია „შეუძლია“, „სიღრმისეულად შეუძლია“ (სასწავლო კურსი „ნეიროკოგნიტური დარღვევები ბავშვთა ასაკში“), სხვ.; ○ ხშირია ტექნიკური ხარვეზები, მაგ., „შეუძლია ... საკუთარი სწავლის პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვას“, „შეუძლია ... პროცესის მიმდინარეობის ეფექტურობის შეფასებას“, „შეუძლია... საკუთარი ცოდნისა და უნარების კრიტიკული შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად მოწინავე მიდგომების და ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია“ და ა.შ. ○ რიგ შემთხვევაში, მითითებული შედეგები საჭიროებს კორექტირებას, რადგან არის არარეალისტური/არაგაზომვადი.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა სილაბუსში არსებობს ზემოთ მითითებული ერთი ან რამდენიმე გასაუმჯობესებელი ასპექტი, რის გამო აუცილებელია სილაბუსების ავტორება გადახედონ მითითებულ შედეგებს მათი გაზომვადობის, სწავლის შედეგები განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და/ან ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

რეკომენდაცია #6: დაკორექტირდეს და დაზუსტდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა.

აღსანიშნავია შემდეგი:

- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში მითითებულია არა „სამაგისტრო ნაშრომის“ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა, არამედ სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობა (იხ. „დაშვების წინაპირობები - სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში სავალდებულო საგანმანათლებლო კურსებითა და „პრაქტიკა სპეციალობაში“ გათვალისწინებული 94 კრედიტის მოპოვება);
- „სამაგისტრო ნაშრომი“ უნდა შესრულდეს IV სემესტრში (26 კრედიტი, 650 სთ). ასევე, IV სემესტრში მაგისტრანტები გადიან „პრაქტიკას სპეციალობაში“ (4 კრედიტი; 3 კვირა (15 ღღე).

შესაბამისად, „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში მითითებული დათქმა ვერ იქნება კომპონენტის „სამაგისტრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობა - სამაგისტრო ნაშრომის და პრაქტიკის სემესტრების თანხვედრა გამოიყვანოს IV სემესტრის დასაწყისისთვის 94 კრედიტის (მათ შორის, პრაქტიკაში 4 კრედიტის) მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლავ აქტუალურია რეკომენდაცია: „დაკორექტირდეს და დაზუსტდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა“.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული ორი რეკომენდაცია:

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.
- დაკორექტირდეს და დაზუსტდეს პროგრამის კომპონენტის „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა.

დანესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესწავლის შედეგად აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა:

პირველი რეკომენდაცია - დანესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, რეკომენდაცია გაზიარებულია, მითითებულ სილაბუსებში (ნეიროკოგნიტიური დარღვევები ბავშვთა ასაკში) დაკორექტირდა შეუსაბამობა და ტექნიკური ხარვეზები, თუმცა რიგ შემთხვევებში რჩება არასწორად ფორმულირებული სწავლის შედეგები, ამდენად,

რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში შენარჩუნებულია.

მეორე რეკომენდაცია - რეკომენდაცია გაზიარებულია, დაზუსტდა სამაგისტრო ნაშრომის დაშვების წინაპირობა და შესაბამისი ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო პროგრამაში და სილაბუსებში: სამაგისტრო ნაშრომის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს პროგრამის

ფარგლებში სავალდებულო სასწავლო კურსები. რეკომენდაცია ამოღებულ იქნა ექსპერტთა დასკვნიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები: „სამაგისტრო ნაშრომი“, „პრაქტიკა სპეციალობაში“.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობისა და შედეგის ფორმულირებს ენობრივი სისწორის ჭრილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია #7: რეკომენდირებულია, მაგისტრებისთვის მისაღწევი პრაქტიკული უნარების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იყოს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტის აღმწერი, რაც გამიჯნავდა შემოთხსენებულს დანესებულებებში მოქმედი იმავე დეტალური სფეროს და დასახელების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური უნარების სირთულისგან.

რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის კომპონენტს „პრაქტიკა სპეციალობაში“. წარმოდგენილ სილაბუსში მითითებული მიზნები და შედეგები შეესაბამება კომპონენტის სპეციფიკას და განათ-

ლების საფეხურს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ:

- მითითებული სწავლის შედეგები, რიგ შემთხვევაში საჭიროებს კორექტირებას როგორც მათი გაზომვადობის (მაგ., „პრაქტიკის გავლისას მაგისტრანტი სიღრმისეულად განამტკიცებს“), ისე განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის (მაგ., „ცოდნა და გაცნობიერება“ – „შეუძლია კრიტიკულად გააზრება, რომელიც მოიცავს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროს უახლეს მიღწევებს“) და ტექნიკური/ენობრივი სისწორის (მაგ., „შეუძლია... საკუთარი ცოდნისა და უნარების კრიტიკული შეფასების და სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად მონინავე მიდგომების და ახალი ცოდნის მიღების მოტივაცია“) თვალსაზრისით;
- არ არის წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი „პრაქტიკა სპეციალობაში“, რის გამო შეუძლებელია ამ ორ სილაბუს შორის, მათ შორის ანალოგიური უნარების სირთულის ნაწილში, თანხვედრის/სხვაობის დადგენა.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია:

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტების „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსი მითითებული სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

დანესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესწავლის შედეგად აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებულია, დაკორექტირდა უზუსტობები, თუმცა „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსში სწავლის შედეგები იმეორებს საბაკალავრო პროგრამის იგივე სასწავლო კურსის შედეგებს. ამდენად, არ ითვალისწინებს განათლების საფეხურს, შესაბამისად, რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსი „პრაქტიკა სპეციალობაში“.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის კომპონენტის „პრაქტიკა სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები განათლების საფეხურის გათვალისწინებით, მათი გაზომვადობის, განზოგადებული სწავლის შედეგების აღმწერებთან (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) შესაბამისობის და შედეგის ფორმულირების ენობრივი სისწორის ჭრილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p><i>შენიშვნა: კომპონენტი არ შეფასდა, რადგან 1) უკვე იყო შეფასებული როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2) ამ კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო.</i></p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>-</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან </p>
2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:</p> <p><i>რეკომენდაცია #8: რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით.</i></p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარებულია, შედეგად, პროგრამაში სტუდენტის შეფასების მეთოდებს შორის მითითებულია ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდა OSCE, თუმცა, არაა წარმოდგენილი სილაბუსზე თანდართული ჩექლისტები და რეკომენდაციის თანახმად განსაზღვრული შესამუშავებელი სამოქმედო გეგმა OSCE-გამოცდის დანერგვასთან დაკავშირებით.</p>

კლინიკური უნარების შეფასების მიზნით რიგ სასწავლო კურსებში (სპორტული ტრავმატიზმი, ფიზიკური რეაბილიტაცია 2, ფიზიკური მედიცინა 2), ამ კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით მასალის ზეპირ პრეზენტაციასთან, ქვიზთან და ტესტირებასთან ერთად, სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასების მიზნით მითითებულია პრაქტიკული უნარების დემონსტრირება და OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბდა და დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

დანსებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის თანახმად, ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებულია, დაკორექტირდა უზუსტობები, სილაბუსში „პრაქტიკა სპეციალობაში“ მითითებული ზმნები და შედეგები შეესაბამება კომპონენტის სპეციფიკასა და განათლების საფეხურს, თუმცა დანართების შეფასების შედეგად ჩანს, რომ „პრაქტიკა სპეციალობაში“ სწავლის შედეგები მეტწილად იმეორებს საბაკალავრო პროგრამის იგივე კურსის „პრაქტიკა სპეციალობაში“ შედეგებს (ფიზიკური რეაბილიტაციისათვის დამახასიათებელი ინოვაციური მეთოდებისა და ძირითადი საშუალებების ეფექტიანად და კრეატიულად გამოყენება; სხვადასხვა პათოლოგიების, დაავადებებისა და დაზიანების დროს ფიზიკური რეაბილიტაციის ტექნიკის შერჩევა; სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით, სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა და წარმატებით განხორციელება; სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა, შედეგების შეფასება; სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროული და უსაფრთხო გამოყენება; დასკვნებსა და მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ, ასაკობრივ და გენდერულ ჯგუფებთან, მათ შორის კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან); ამდენად არ ითვალისწინებს განათლების საფეხურს. შესაბამისად, რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვასთან კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის და ჩექლისტების წარმოდგენა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“, მაგისტრატურა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 20

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		<input checked="" type="checkbox"/>		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი